GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

20 Kasım / ნოემბერი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6 676.3	10.4%	17.3 %	0.8%

Irakli Garibashvili Başkanlığında Avrupa Entegrasyonu Komisyonu Oturumu Gerçekleşti

ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ევროინტეგრაციის კომისიის სხდომა გაიმართა

Hükümet İdaresi'nde Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili başkanlığında Avrupa Entegrasyonu Komisyonu oturumu gerçekleşti.

Oturum sırasında Avrupa Komisyonu'nun Gürcistan'a aday ülke statüsü verilmesine ilişkin olumlu tavsiyesi üzerinde duruldu.

Söz konusu kararın ülkenin Avrupa entegrasyonu yolunda son derece mühim olduğunu ve ülkenin reformlara devam edeceğini vurgulandı.

Komisyon oturumunda yıllar boyunca mevzu reformların uygulanması üzerine çalışan tüm kurumlar hazır bulundu.

Komisyon mensuplarınca tavsiyelerin uygulanması ve bu süreçte muhtelif kurumların koordineli çalışması ele alındı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში ევროინტეგრაციის კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომაზე იმსჯელეს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით რეკომენდაციაზე.

ხაზი გაესვა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე და ქვეყანა გააგრძელებს რეფორმებს.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იყო ყველა ის უწყება, რომლებიც წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ აღნიშნული რეფორმების განხორციელებაში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს რეკომენდაციების შესრულებაზე და ამ პროცესში სხვადასხვა უწყების კოორდინირებულ მუშაობაზე.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Dışişleri Bakanı Ilia Darchiashvili'nin Danimarka Krallığı Ziyareti

საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი ვიზიტით დანიის სამეფოს ეწვია

16 Kasım 2023 Tarihinde Gürcistan Dışişleri Bakanı Ilia Darchiashvili Danimarka Krallığı Dışişleri Bakanı Lars Lokke Rasmussen ile görüştü.

Meslektaş Bakanlar Gürcistan'ın Avrupa entegrasyonundan bahsetmiş oldular.

Gürcistan tarafından yürütülmüş çalışmalar ve çabaların onaylanması haline gelen aday statüsü verilmesi ele alındı. Darchiashvili, Avrupa Komisyonu'nun tavsiyesi uyarınca, ülkenin Aralık ayında aday statüsü almayı beklediğini dile getirdi.

Bununla birlikte, Dışişleri Bakanı Gürcistan'ın Avrupa Birliği'ne entegrasyonu yolunda sonraki aşamalarda da öncesi gibi, Danimarka Krallığı'nın sarsılmaz desteğine sahip olacağına dair umutlarını dile getirdi.

Ziyaret kapsamında Ilia Darchiashvili ayrıca Danimarka Parlamentosu dış politika, dış ilişkiler ve Avrupa işleri komitelerinin Başkanlarıyla bir araya geldi.

2023 წლის 16 ნოემბერს, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ილია დარჩიაშვილმა შეხვედრა გამართა დანიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, ლარს ლოკე რასმუსენთან.

საგარეო საქმეთა მინისტრებმა ისაუბრეს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის შესახებ.

განიხილეს ევროკომისიის რეკომენდაცია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რომელიც ქართული მხარის მიერ გაწეული სამუშაოებისა და ძალისხმევის აღიარებაა.

ილია დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ ევროკომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, ქვეყანა დეკემბერში უკვე ელოდება ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ.

ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს, ისე როგორც აქამდე, ექნება დანიის სამეფოს ურყევი მხარდაჭერა ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის შემდეგ ეტაპებზე.

ვიზიტის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე შეხვდა დანიის პარლამენტის საგარეო პოლიტიკის, საგარეო ურთიერთობებისა და ევროპულ საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეებს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

"Silk Road Group" Gürcistan'a Hollywood Stüdyoları Getiriyor

„სილქ როუდ ჯგუფს" საქართველოში ჰოლივუდის სტუდიები შემოჰყავს

Gürcistan Hükümeti'nin destekleriyle, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı, Gürcü "Silk Road Group", Amerikan film stüdyosu WonderHill Studios ve Amerikan Yatırım ve Danışmanlık şirketi ESTech Gürcistan'da film çekme ve finansman alanında faaliyet gösterecek olan müşterek girişim- WonderSilk Studios (WSS) kurulmasına ilişkin ortaklık anlaşmasına imza attılar.

Bahsi geçen ortaklığın maksadı Hollywood stüdyolarına ve bağımsız yapımcılara lokal yerlerden, vergi muafiyetinden, personel vb. yerel kaynaklardan faydalanmasının net ve düzenli bir tasarısı sunmaktır.

2023-2024 Yıllar boyunca müşterek girişim WSS Gürcistan ve Kazakistan'a 200 000 000 dolardan daha fazla değerindeki film projelerini getirmeyi planlıyor.

"Sinema endüstrisinde başarının en iyi örneği kamu-özel ortaklığıdır. Fikrimce bir taraftan önder Gürcü ve Amerikan şirketlerinin, diğer taraftan ise Ekonomi Bakanlığı'nın bu projede yer alması başarının formülünü verecektir. Bu vakada Hollywood'da daha çok Gürcistan'ın bulunulması ve Gürcistan'da daha çok Hollywood'un bulunulması başarının bir göstergesi olacaktır"- Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Irakli Nadareishvili imzalama töreni sonrası basın toplantısında şu ifadelere yer verdi.

Nadareishvili'nin dediği gibi, Ekonomi Bakanlığı 6 yıldır sinema endüstrisini aktif olarak desteklemekte.

"Biz "Gürcistan'da Üret" bazında çeşitli programları geliştirdik- bu portfolyoda 40'tan daha fazla film var, onlarca milyon dolarlık yatırım yapıldı ve yüzlerce iş yeri oluşturuldu. Yerel yapımcı şirketlerinin uluslararası piyasalara erişimi sağlamak adına aktif çalışma halindeyiz. Biz, ülke olarak bütün uluslararası profil fuarlardayız, Gürcü yapımcılar ülkemizde film çekmenin neden enteresan ve karlı olacağına dair uluslararası şirketler ile konuşabilirler"- Irakli Nadareishvili.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LCWAIKIKI · IŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ქართულმა „სილქ როუდ ჯგუფმა“, ამერიკულმა კინოსტუდიამ WonderHill Studios და ამერიკულმა საინვესტიციო და საკონსულტაციო კომპანიამ ESTech, ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოში ერთობლივი საწარმოს - WonderSilk Studios (WSS) დაარსების შესახებ, რომელიც კინოწარმოებისა და კინოს დაფინანსების სფეროში იმუშავებს.

აღნიშნული პარტნიორობის მიზანია შესთავაზოს ჰოლივუდის სტუდიებსა და დამოუკიდებელ პროდიუსერებს ადგილობრივი სივრცეების, საგადასახადო შეღავათების, პერსონალის და სხვა ადგილობრივი რესურსის გამოყენების მკაფიო და მოწესრიგებული სქემა. 2023-2024 წლის განმავლობაში ერთობლივი საწარმო WSS გეგმავს საქართველოსა და ყაზახეთში 200 მლნ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების კინოპროექტების შემოტანას.

„კინოინდუსტრია ის დარგია, სადაც წარმატების საუკეთესო მოდელი დამყარებულია საჯარო - კერძო პარტნიორობაზე.

ვფიქრობ, რომ ერთი მხრივ, წამყვანი ქართული და ამერიკული კომპანიების, მეორე მხრივ კი ეკონომიკის სამინისტროს მონაწილეობა ამ პროექტში მოგვცემს წარმატების ფორმულას.

ამ შემთხვევაში, წარმატება იქნება ის, რომ გვქონდეს მეტი საქართველო ჰოლივუდში და მეტი ჰოლივუდი - საქართველოში,“ - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ირაკლი ნადარეიშვილმა მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე თქმით, ეკონომიკის სამინისტრო 6 წელია, აქტიურად არის ჩართული კინოინდუსტრიის ხელშეწყობაში.

„ჩვენ შექმენით სხვადასხვა ტიპის პროგრამები, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ბაზაზე - 40 ფილმზე მეტია ამ პორტფელში, ათეულობით მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა და შექმნა ასობით სამუშაო ადგილი.

ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ, რომ ადგილობრივ საპროდიუსერო კომპანიებს საერთაშორისო ბაზრებზე ჰქონდეთ წვდომა.

ჩვენ ყველა საერთაშორისო პროფილურ გამოფენაზე ვართ წარმოდგენილი, როგორც ქვეყანა და ქართველ პროდიუსერებს აქვთ შესაძლებლობა, ესაუბრონ საერთაშორისო კომპანიებს იმის შესახებ, რატომ შეიძლება იყოს საქართველოში საინტერესო და მომგებიანი ფილმის გადაღება,“ - აღნიშნა ირაკლი ნადარეიშვილმა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Agro/Food/Drink/Tech/Expo -2023

Fuar merkezi “ExpoGeorgia”da tarım, gıda sanayi, işleme ve ambalajlama teknolojilerin 21. Uluslararası Fuarı- Agro/Food/Drink/Tech/Expo -2023 düzenlendi.

Fuar Çevre Koruma ve Tarım Bakan Yardımcısı Kakha Kakabadze, “ExpoGeorgia” Fuar Merkezi Müdürü Resan Kikava ve T.C. Tiflis Büyükelçi Yardımcısı Kazım Kartal tarafından açıldı.

Cari sene, Agro/Food/Drink/Tech/Expo Fuarına 8 ülkeden (Gürcistan, İtalya, Polonya, Türkiye, Ukrayna, Hindistan, Çin, Belarusya) 70 şirket katıldı.

Fuarda tarımsal alet ve makineler, paketleme malzemeleri, sera teknolojileri ve ekipmanı, sulama sistemi, laboratuvar gereçleri, ekimlik malzemeler, gübreler ve pestisitler, ayrıca çok çeşitli gıda sanayi ürünleri de sergilenmiştir.

გამოფენების ცენტრში „ექსპოჯორჯია“ სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამმუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების რიგით 21-ე საერთაშორისო გამოფენა Agro/Food/Drink/Tech/Expo -2023 გაიმართა.

გამოფენა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძემ, გამოფენების ცენტრის „ექსპოჯორჯია“ დირექტორმა, რესან ქიქავამ და თურქეთის რესპუბლიკის ელჩის მოადგილემ, ქაზიმ ქართალმა გახსნეს.

მიმდინარე წელს, გამოფენაში Agro/Food/Drink/Tech/Expo 8 ქვეყნის (საქართველო, იტალია, პოლონეთი, თურქეთი, უკრაინა, ინდოეთი, ჩინეთი, ბელარუსი) 70-მა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სასოფლო–სამეურნეო ტექნიკა, მანქანა-დანადგარები, შესაფუთი მასალები, სასათბურე მეურნეობის ტექნოლოგიები და აღჭურვილობა, სარწყავი სისტემები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, სარგავი და სათესლე მასალები, სასუქი და პესტიციდები და სხვა.

აგრეთვე დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი კვების მრეწველობის პროდუქცია.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Gürcistan'dan Evcil Hayvan İhracatı Rekor Seviyede

საქართველოდან შინაური ცხოველების ექსპორტი რეკორდულ მაჩვენებელზეა

Gürcistan'dan sığır ihracatı rekor seviyede.

2023'ün Ocak-Eylül döneminde yerel sığır ihracatı 10 yıllık maksimum olan 58,042 milyon doları teşkil etmiştir.

Bu sene Gürcistan'dan 17 622 ton canlı sığır ihraç edilmiştir, toplam 58,042 milyon dolar değerinde.

Sığır Sadece 4 Ülkeye İhraç Edildi:

- Irak- 42,517 milyon dolar (13 083 ton)
- Azerbaycan- 14 856 milyon dolar (4 228 ton)
- Ermenistan- 348,4 bin dolar (217 ton)
- İran- 320,2 bin dolar (93,5 ton)

საქართველოდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი რეკორდულ მაჩვენებელზეა.

2023 წლის იანვარ-სექტემბერში ადგილობრივი პირუტყვის ექსპორტმა 58,042 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 10-წლიანი მაქსიმუმია.

წელს საქართველოდან გავიდა 17 622 ტონა ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ჯამში 58,042 მლნ დოლარის ღირებულების.

ექსპორტი მხოლოდ 4 ქვეყანაში განხორციელდა, კერძოდ:

- ერაყი - 42,517 მლნ დოლარი (13 083 ტონა)
- აზერბაიჯანი - 14 856 მლნ დოლარი (4 228 ტონა)
- სომხეთი - 348,4 ათასი დოლარი (217 ტონა)
- ირანი - 320,2 ათასი დოლარი (93,5 ტონა)

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

TR/GE

GÜRTİAD

20 Kasım 2023

Gürcistan'da Yumurta Üretimi Azalma, Süt ve Et Üretimi İse Artış Gösterdi

საქართველოში კვერცხის წარმოება შემცირდა რძის და ხორცის წარმოება კი, გაიზარდა

2024 Yılı İçin Tiflis'in Bütçesi 1.7 Milyar Lari Olacak

თბილისის 2024 წლის ბიუჯეტი 1.7 მილიარდი ლარი იქნება

Gürcistan'da Şekere İthalat Vergisi Getirildi

საქართველოში შაქარზე საიმპორტო გადასახადი ამოქმედდა

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6985 TRY/GEL – 0.0940 EUR/GEL – 2.9327 GBP/GEL – 3.3545

USD/GEL

13 – 20 Kasım 2023

USD/TR

13 – 20 Kasım 2023

TRY/GEL

13 – 20 Kasım 2023



BTC – 35, 091,26

13 – 20 Kasım 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING